



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



MES 7 20 0000778305



04/09/2020

2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველ პუნქტის „კ¹⁸“ ქვეპუნქტის, 47⁷-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 04 სექტემბრის N776013 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. 2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი წარიმართოს არადისტანციურად;
2. იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ვერ შეძლებს სასწავლო პროცესი განახორციელოს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, აუცილებლობის შემთხვევაში და გამონაკლისის სახით, უფლება მიეცეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული ნაწილი წარმართოს დისტანციურად;
3. იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის სტუდენტი იმყოფება იზოლაციაში/კარანტინში, გამონაკლისის სახით უფლება მიეცეს იზოლაციაში/კარანტინში

მყოფი სტუდენტებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების თეორიული ნაწილი წარმართოს დისტანციურად;

4. დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი

